

## ციფრული გრაფიკის ტონური კონვენიენტის პრაქტიკული ასპექტები

ელენე კამპამიძე, თეა აფხაძე, მარიამ ჯანელიძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

წებისმიერი გამოსახულების უმთავრესი მახსისათებლი არის ტონი. ფოტოგრაფია, ციფრული გამოსახულება, სურათი, რომელიც ციფრული წესით არის დაბეჭდილი, შეიძლება იყოს: ნათელი, ბნელი (მუქი) ან ჰქონდეს შუქისა და ჩრდილის არების დაბალანსებული ურთიერთშეთანხმება. ნაშრომში განხილულია ციფრული გამოსახულების ტონური კორექციის ორი საშუალება – პროგრამა Adobe Photoshop-ის ბრძანებები Adjustment (კორექცია) და Histogram (პისტოგრამა). შესაბამისი მაგალითებისა და ილუსტრაციების დახმარებით მოცემულია მათი პრაქტიკაში გამოყენების მეთოდები და ის შედეგები, რომლებსაც გამოცდილი რეტუშერი მათი სათანადო გამოყენებით აღწევს.

**საკვანძო სიტყვები:** ციფრული გრაფიკა. ტონი. ორექცია. პისტოგრამა. ექსპოზიცია. პოსტერიზაცია.

### 1. შესავალი

ციფრული გამოსახულების დიდი ნაწილი არ იყენებს სიკაშკაშის სელმისაწყდომი მნიშვნელობის სრულ დიაპაზონს – ნულოვანიდან მაქსიმუმამდე, ხშირად გვხვდება გამოსახულებები, სადაც ჭარბობს ბნელი და ნათელი შემადგენელი. თუ ტონური დიაპაზონის მნიშვნელოვანი ნაწილი თავმოყრილია ნათელი ტონების არეში, მაშინ ამ გამოსახულებას კაშკაშა (მკვეთრი – High key) ეწოდება. ნათელ ტონებს ზოგჯერ უწოდებენ დიუზურს. თუკი ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალები განთავსებულია მუქი ტონების სივრცეში, ასეთ გამოსახულებას ეწოდება მუქი (Low key). საშუალო ტონური ანუ დაბალანსებული (Medium key) ეწოდება გამოსახულებას, რომელზეც ყველა მნიშვნელოვანი დეტალი თანაბრად არის განაწილებული სიკაშკაშის შეკალის მუქ და ნათელ სივრცეებს შორის.

პოლიგრაფიაში მიღებულია ტონების სრული დიაპაზონის 3 ნაწილად დაყოფა. ზღვრული მდგომარეობა სიკაშკაშის შეკალაზე უკავია ეწ. თეორის წერტილებს ანუ ანარეკლებს. ეს არის გამოსახულების ყველაზე ნათელი არები. ბეჭდვის სფეროს პროფესიონალები ურჩევენ ტონური კორექციის პროცესში თეორი წერტილის ისეთი მნიშვნელობის გამოყენებას, რომლის აღბეჭდვაც შეუძლია არჩეულ ტიპოგრაფიულ ხელსაწყოს. ყველაზე ბნელი (მუქი) არები იწოდება, როგორც შავი წერტილები, ანუ ჩრდილები. ისინი განსაზღვრავენ ტონური დიაპაზონის სხვა საზღვარს. ბეჭდვისას ჩრდილები არ უნდა გადაიქცეს არედ, რომელიც სრულიად არის დაფარული შავი საღებავით. ანარეკლები და ჩრდილები განსაზღვრავენ სიკაშკაშის დიაპაზონს, რომელიც იყოფა მეოთხედ, ნახვარ და 3/4 ტონების არეებად. რასტორულ გამოსახულებებში ტონების განაწილების შეფასებისთვის, როგორც წესი, გამოიყენება ეწ. პისტოგრამები, რომლებიც აჩვენებენ მოცემული ტონების წერტილების რაოდენობას გამოსახულებაზე.

### 2. ძრითადი ნაწილი

Phohtoshop-ში ტონური კორექციის საშუალებათა დიდი ნაწილი განლაგებულია Image=>Adjustment(გამოსახულება=>კორექცია) განყოფილებაში. ამ ჯგუფის ბევრ ბრძანებას შეუძლია შეიტანოს ცვლილებები ტონების განაწილებაში, მაგრამ ეს ფუნქცია არის მათგან მხოლოდ ექვსის პირდაპირი ვალდებულება: ბრაბანება Levels (დონები), AutoTone (ავტომატური დონები), Auto Contrast(ავტომატური კონტრასტი), Curves (მრუდები), Brightness/Contrast

(სიკაშებე/ კონტრასტულობა), Shadow/Highlights (ჩრდილები/ანარევები) და Exposure (ექსპოზიცია).

ციფრულ რეტუშში დახელოვნებული პროგრამის მომხმარებლები მუშაობისას უპირატესობას ანიჭებენ Levels და Curves, და ეს არჩევანი ითვლება გამართლებულად. სინამდვილეში ავტორიზაციის მაღალი ხარისხის ბრაბანებები (AutoTone, Auto Contrast) ბევრ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს აუცილებელ მოქნილობას, რამდენადაც სამუშაოს ძირითად ნაწილს დამოუკიდებლად ასრულებენ.

დამწევები მომხმარებლები ხშირად ირჩევენ ბრძანება Brightness/Contrast (სიკაშებე/კონტრასტულობა), როგორც ყველაზე ხელმისაწვდომ საშუალებას ტონური ბალანსის აწყობისა და მართვის საშუალებებსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს არის უხეში ინსტრუმენტი, რომელიც მუშაობს ტონური კორექციის ხაზოვნი პრინციპის შესაბამისად. მას ხშირად შექვეს მნიშვნელოვანი დამახინჯება ორიგინალში. მისმა ინტენსიურმა გამოყენებამ შეიძლება მიგვიყვანოს დეტალების დაკარგვამდე და გამოსახულების შეუქცევად დეგრადაციამდე.

რედაქტორში ყველაზე მნიშვნელოვან მაკორექტილებელ პროგრამათა უმრავლესობას სხვაგვარი ინტერფეისი აქვს. მათთან მუშაობა შეგვიძლია, როგორც მაკორექტირებელ შრებთან. რასტრული გრაფიკის ეს ნოვატორული საშუალება პირველად გაჩნდა პროგრამის IV ვერსიაში.

მაკორექტირებელი ფენების შემოტანით გამასწორებელი ინფორმაცია ცილდება გამოსახულებას. რეტუშერის ყველა გამასწორებელი ბრძანება ლოკალიზდება განცალკევებულ დონეზე და ორიგინალის გამომსახველობით ფენებს უცვლელს ტოვებს. სურათის შესწორება გარევეული აზრით წარმოადგენს ილუზიას, რამდენადაც ის მიიღწევა მაკორექტირებელი ფენების დადებით გამომსახველობითზე. ასეთი დამუშავების ტექნიკა რეტუშერს უფრო მეტ თავისუფლებას უტოვებს, ვიღრე მაკორექტირებელი ბრძანების უშუალო გამოყენება გამოსახულებისთვის. მაგალითად:

- პირველ რიგში იზრდება რეტუირების საიმედოობა, რამდენადაც ყველა წარუმატებელი მოქმედება შეიძლება გაუქმდეს მარტივი გამორთვით ან ფენის წაშლით;

- მაკორექტირებელი ფენა გამასწორებელი საშუალების მაკორექტირებელი ინტენსივობის აწყობის საშუალებას გვაძლევს;

- ეს ფენები კორექციის სხვადასხვა საშუალების ერთობლიობასა და მათ თანმიმდევრობასთან ექსპერიმენტების საშუალებას გვაძლევს. მაკორექტირებელი ფენების თანმიმდევრობის შეცვლა ყველაზე მარტივი საშუალებაა დაზიანებული ორიგინალის გამოსწორების ოპერაციის რაციონალური თანმიმდევრობის განსაზღვრად.

მაკორექტირებელი ფენები არ აუქმებს რედაქტორთან მუშაობის კლასიკურ ტექნიკას. ძველი მეთოდებით მუშაობის მოყვარულებს შეუძლიათ გამოიყენონ განყოფილების Image=>Adjustment (გამოსახულება=>კორექცია) ჩვეული ბრძანებები.

პროგრესის მომხრეებს პროგრამა სთავაზობს 12 მაკორექტირებელ ფენას, რეალიზაციას უკეთებს ტონური და ფერითი რეტუშის ყველაზე მოთხოვნად საშუალებას. ყველა მათგანი მთავარი მენიუს განყოფილებაში Layer=>New Adjustment Layer (ფენი=>ახალი მაკორექტირებელი ფენი) არის განლაგებული.

## 2.1. პისტოგრამები

პისტოგრამა არის გამოსახულებაზე ტონების განაწილების ორგანზომილებიანი გრაფიკი. რედაქტორში პისტოგრამა წარმოდგენილია დიაგრამის სახით, რომლის აბსცისის ღერძზე


აღნიშნება სიკაშვაშის რიცხვითი მნიშვნელობები, ხოლო ორდინატის დერძშე აღნიშნული სიკაშვაშის მქონე წერტილის რაოდენობა გამოსახულებაზე. სიკაშვაშის მინიმალური მნიშვნელობა, რომელიც ნულის ტოლია, შეესაბამება პისტოფრამის კოორდინატების დასაწყისს. შკალის ეს წერტილი წარმოადგენს შავ ფერს: ყველაზე მარჯვენა წერტილი არის ყველაზე კაშვაშა. ეს არის სუფთა თეთრი ფერი, რომლის სიკაშვაშეც 255-ის ტოლია, პისტოგრამის ყოველი სვეტის სიმაღლე ტოლია მოცემული სიკაშვაშის მქონე წერტილების რაოდენობის გამოსახულებაზე. პისტოგრამები აქტიურად გამოიყენება ციფრული რეტუშის პროცესში. მათი მიხედვით შესაძლებელია საფუძვლიანი დასკვნის გაკეთება ცალკეული ტონური ინტერვალების კუთრი წონის შესახებ, ფერთა არხების ინფორმატიულობის შეფასება და პიქსელების სიკაშვაშის მნიშვნელობის დისბალანსის აღმოჩენა.

Photoshop-ში გამოსახულების პისტოგრამებს შეუძლიათ გვიჩვენოს რამდენიმე სხვადასხვა ბრძანება. პისტოგრამის ვიზუალიზაციის ძირითადი საშუალება არის პალიტრა Histogram. პალიტრა Histogram და Levels-ით ასახული პისტოგრამები ცოტათი განსხვავდებიან ერთმანეთისგან. RGB და CMYK რეჟიმებში პირველი საშუალებით გამოტანილი პისტოგრამა თავდაპირველი მონაცემით გვიჩვენებს არს Luminosity-ში (სიკაშვაშე) ტონების განაწილებას. მეორე ბრძანების პისტოგრამა კონტაქტშია კომპოზიტურ არხთან, რომელსაც ფერითი მოდელის გათვალისწინებით ეწოდება RGB და CMYK. Grayscale და Lab რეჟიმში ორივე ბრძანებით გამოტანილი ინფორმაცია შეგვასია.

რაც შეეხება პისტოგრამას და მის დამუშავებას, რედაქტორში არ შეცვლილა უკვე დიდი ხანია. თოვლებოდა, რომ რასტრული გრაფიკის ეს განყოფილება ფლობდა სამუშეულო ექსპონატის ავტორიტეტს და არითმეტიკის ძირითადი წესების სიმყარეს. Photoshop CS-ის გამოსვლის შემდეგ პისტოგრამებთან ასეთი სამუშაოების ჩატარებაში მოხდა გადამწყვეტი ცვლილებები. პროგრამის ამ რედაქციაში გამოჩნდა სპეციალური პალიტრა Histogram, რომლის დანიშნულებაც არის ტონური მნიშვნელობების განაწილების ვიზუალიზაცია – ის ხასიათება მაღალი ინტერაქტიულობით და მოქნილი მახასიათებლებით. პალიტრა ოპერატორულად რეაგირებს მომხმარებლის ქმედებებზე და ტონური განაწილების ყველა ცვლილებას რეალური დროის რეჟიმში გამოსახავს. განვიხილოთ ამ საშუალებასთან მუშაობის ძირითადი მეთოდები. პისტოგრამის ეკრანზე გამოსატანად საკმარისია მთავარი მენიუს შემდეგი ბრძანების შესრულება: Windows=>Histogram. ტონების განაწილება უკვე წარმოგვიდგება მცურავი პალიტრის სახით.

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია იგი მუდმივად ეკრანზე იყოს და დიზაინერს ოპერატორული ინფორმაცია მიაწოდოს ტონურ დიაგრამაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ.

1-ელ ნახაზზე ნაჩვენებია ერთი და ოგივე გამოსახულების ორი პისტოგრამა. უკანა ფონზე ნაცრისფრად გამოსახულია მისი საწყისი მდგომარეობა, ხოლო წინა პლანზე მუქ-ნაცრისფრად – მიმდინარე მდგომარეობა, რომელსაც მიიღებს ორიგინალი ოპერაციის დასრულების შემდეგ.





პალიტრის კიდევ ერთი სასარგებლო თავისებურებას წარმოადგენს გამოსახულების შემადგენელი ნაწილების არჩევის შესაძლებლობა, რომელთა პისტოგრამაც ეკრანზე გამოიტანება.

ცნობილია, რომ რასტრული გრაფიკის ბევრი ოპერაცია მოითხოვს ერთი გამოსახულების რამდენიმე ფენასთან მუშაობას, რომელთა შორისაც შეიძლება იყოს გამომსახველობითი და მაკორექტირებელი ფენები. ფერადი ორიგინალური შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე არხისგან, რომლებიც წარმოადგენენ ცალკეული ფერითი კოორდინატების შესახებ მონაცემების წყაროს. დიაგრამის სახის ტონების განაწილება შესაძლოა დაკავშირებული იყოს არა მხოლოდ მთლიან გამოსახულებასთან, მას მნიშვნელობა აქვს ცალკეული ფენებისა და არხებისთვისაც. ეს მნიშვნელოვანი მახასიათებელია გამოსახულების კომპონენტებისა და დამუშავების პროცესში. რეტუშერს ან დიზაინერს ხშირად უწევს მიმართვა ამ ინფორმაციასთან.


## 2.2. ტონური გადანაწილების შეფასება

ჰისტოგრამები იძლევა თვალსაჩინო გრაფიკულ წარმოდგენას სურათის სიკაშაშის დონეზე. ამ ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია გამოსახულების ხარისხის შეფასება და მაკორექტირებელი სამუშაოების წინასწარი გეგმის შედგენა. კომპიუტერულ რეტუშერებსა და ფოტოგრაფებს შორის გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ რასტრული გამოსახულება მთლიან ხარისხიანია, რაც უფრო დაბალანსებულია მასში მუქი და ნათელი ტონების განაწილება. ეს დასაბუთებული დასკვნა შეიძლება დადასტურდეს ანალიტიკურად და მაგალითების საფუძველზე. მე-2 ნახაზზე ნაჩვენებია გამოსახულების ჰისტოგრამა, რომელშიც დაბალანსებულად არის განაწილებული ტონები. მე-3 ნახაზზე კი წარმოდგენილია გამოსახულების მაგალითი, რომელსაც აქვს მაღალი კონტრასტულობა.




ასეთი ორიგინალის ჰისტოგრამებს, როგორც წესი აქვთ ორი პიკი, რომლებიც ტონური დიაპაზონის ნათელი და მუქი ნაწილაკებისგან მიიღებენ. პიქსელების მხოლოდ მცირე ნაწილია განლაგებული ორიზონტალური ღერძის შეა ნაწილზე, ამიტომ ამ არეში ჰისტოგრამებს აქვთ ერთი ან რამდენიმე შესამჩევი „ჩავარდნა“. უკიდურესი კონტრასტულობის მქონე გამოსახულებები წარმოადგენს ორიგინალებს, რომლებიც შეფერილია მხოლოდ შავი და თეთრი ფერით. ასეთი მაგალითების ჰისტოგრამებს აქვს ორი აშკარად გამოხატული პიკი (მწვერვალი), რომლებიც ტონური დიაპაზონის კიდეებზეა გამოსახული.

ჰისტოგრამის მიხედვით შეგვიძლია დაგვათ რასტრული გამოსახულების კიდევ ერთი „ქრონიკული დაავადების“ დიაგნოზი. საუბარია პოსტერიზაციაზე, ეს ტერმინი გამოიყენება იმ სურათებთან მიმართებაში, რომლებზეც ტონები არათანაბრად არის განაწილებული.




ნახ.4



ნახ.5

ეს ნიშნავს იმას, რომ ორიგინალზე არსებობს ერთტონიანი ვრცელი ფართობები და პირიქით, ზოგიერთი ტონური მნიშვნელობა საერთოდ არ არის წარმოდგენილი.

მსგავსი გამოსახულებების ტიპური ჰასტოგრამა წარმოდგენილია მე-4 ნახაზზე. მას ახასიათებს დისკრეტულობა. მე-5 ნახაზზე გამოსახული ჰასტოგრამა გვიჩვენებს პოსტერიზაციის ეფექტის უკიდურეს გამოვლინებას. ამ მაგალითში ტონების „გაღარიბება“ იმდენად შორს არის წასული, რომ ორიგინალში არ არსებობს მთელი ტონური ინტერვალები. პროფესიონალების წრეში შესამჩნევი გარეგნული მსგავსების გამო, ასეთ ჰასტოგრამებს ზოგჯერ „სავარცხელს“ უწოდებენ.



ნახ.6

მე-6 ნახაზზე გამოსახულ ჰასტოგრამებში, პირველ რიგში, თვალშისაცემია ტონური განაწილების დისკრეტულობა. ორიგინალში ტონური დიაპაზონის შუა ნაწილში არ არსებობს წერტილები. შეკალის მარჯვენა და მარცხენა ნაწილებში ორი პიკი გვიჩვენებს გამოსახულების მაღალკონტრასტულობას.

ორიგინალზე არ არის წარმოდგენილი შავი და თეთრი პიქსელები. ჰასტოგრამის ანალიზი საფუძველს იძლევა დავასკრაფტ, რომ სურათი მნიშვნელოვნად არის დაზიანებული და სერიოზულ დამუშავებას საჭიროებს. სწორი დიაგნოზის დასმაში შეიძლება დაგვეხმაროს რასტრული გამოსახულების სტატისტიკური მახასიათებლები, რომლებსაც გაიანგარიშებს პროგრამა და ჰასტოგრამის პალიტრის ქვედა ნაწილში გვიჩვენებს.

### 3. დასკვნა

ციფრული გამოსახულების ტონური კორექციის ტაქტიკის ხიბლი ტექნიკურ სიმარტივეშია. Photoshop CS-ის პალიტრა პისტოგრამა წარმოადგენს ციფრული გამოსახულების ცალკეული ტონური ინტერვალების კოტექტირების საკმაოდ მოხერხებულ საშუალებას. ამასთან, პისტოგრამა გვაძლევს აუცილებელ პირობას ზუსტი დაიგნოზის დასაღვენად. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და ტაქტიკის არჩევა კი ხდება რეტუშერის გამოცდილების, მისი ორიგინალური ხედვის და გამოსახულების ვიზუალური შეფასების საფუძველზე.

#### ლიტერატურა:

1. Ден Маргулис. Photoshop для профессионалов. Интелбук. 2007. 655 стр.
2. Mike Wooldridge. Teach Yourself Visually –Adobe Photoshop CS5. Wiley.2010. 355 p.
3. <http://www.dpreview.com/reviews/adobephotoshopcs>
4. [http://help.adobe.com/en\\_US/photoshop/cs/using/photoshop\\_cs5\\_help.pdf](http://help.adobe.com/en_US/photoshop/cs/using/photoshop_cs5_help.pdf)

## PRACTICAL ASPECTS OF TONE CORRECTION IN DIGITAL GRAPHICS

Kamkamidze Elene., Apkhadze Tea, Janelidze Mariam

Georgian Technical University

#### Summary

Significant feature of any image is the tone. Photos, digital images, pictures printed digitally can be bright, dark or have a balanced coordination of areas of light and shadow. In this work there are two means of tone correction of digital images, two commands of the Adobe Photoshop program - Adjustment and Histogram. Using appropriate examples and illustrations there are presented methods of their practical use and the results that experienced retouchers can reach using them properly.

## ПРАКТИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ТОНОВОЙ КОРРЕКЦИИ ЦИФРОВОЙ ГРАФИКИ

Камкамидзе Е., Апхадзе Т., Джанелидзе М.

Грузинский Технический Университет

#### Резюме

Значительной характеристикой любого изображения является тон. Фотография, цифровое изображение, картина, напечатанная цифровым методом, могут быть: яркими, темными или иметь сбалансированное согласование областей света и тени. В данной работе речь идет о двух средствах тоновой коррекции цифрового изображения, о двух командах программы AdobePhotoshop - Adjustment (корекция) и Histogram (гистограмма). С помощью соответствующих примеров и иллюстраций представлены методы их практического применения и те результаты, которые могут быть достигнуты опытными ретушерами при их применении.